ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31253012**
თარიღი: **28/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

თავმჯდომარის მოადგილის სპარტაკ კვაჭაძის

2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ამომრჩეველს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. დეპუტატის მანდატი სპეციფიური ხასიათისაა, რომელიც ითვალისწინებს, როგორც საკრებულოში ძირითადი კანონმდებლობის მოწესრიგების უზრუნველყოფას, ასევე მუალედურ როლს ასრულებს მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის დეკემბრიდან ვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ასევე ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების წევრი. აქტიურად ვარ ჩართული აღნიშნული კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში, სადაც განვიხილავთ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს და ვამტკიცებთ საკრებულოს სხდომებზე.

ასევე მოგახსენებთ, რომ ვარ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებელი და აქტიურად ვარ ჩართული სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და შესრულებაში. მიმდინარე წელს ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის სამივე სოფელში დაიგო 5 500 გრძივი მეტრი ასფალტო-ბეტონის გზა, მოეწყო სპორტული მოედანი, ასევე მოხდა ამორტიზირებული 2 საბავშვო ბაღის დემონტაჟი და დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები.

ასევე სოფლის პროგრამების ფარგლებში სოფელ ბაღლებში დასრულდა გარე განათების სამუშაოები, სოფელ ჯურუყვეთში მიმდინარეობს იგივე პროცესი და სოფელ ეწერში დასრულდა ყოფილი ამბულატორიის ეზოს შეღობვითი სამუშაოები, სადაც იგეგმება სკვერის მოწყობა.

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა) დაზიანდა მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული მოსახლეობისთვის

პირველადი მოხმარების საგნებისა და მედიკამენტების მიწოდების პროცესში. აღწერილი და დათვლილი იქნა მიყენებული ზიანი, შესაბამისად სრულად მოხდა 15 საცხოვრებელი სახლის გადახურვა და 42 ოჯახს გადაეცა კომპენსაცია.

მომავალშიც, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც ჩემი სოფლის მოსახლეობას აწუხებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური კუთხით.

პატივისცემით,

სპარტაკ კვაჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მოადგილე